ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის

ო ქ მ ი # 2

ქ. ონი 22. 02. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ბაჩანა მარკოიშვილი.

ბიუროს 13 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 10 წევრი: ბაჩანა მარკოიშვილი, ალავერდ ხვედელიანი, გიორგი მარკოიშვილი, გივი მეტრეველი, ლევან ორდინიძე, სერგო ლობჯანიძე, სონია გუგეშაშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, მამუკა ყავლაშვილი, თეიმურაზ ცეცაძე.

არ ესწრებოდნენ: ვასილ მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე, ზურაბ ბენდიანიშვილი.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის კულტურის სამსახურის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი მარინე რაზმაძე, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი მანანა ჩაგელიშვილი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი მაგდა მაისურაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მარინე რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მაგდა მაისურაძე-ადმინისტრ. სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფ. განყოფილების უფროსი/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი - მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ და აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლისა, განსაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, ამ ეტაპზე ცვლილება არსებულ ფასში არ ხდება და მტკიცდება არსებული ფასი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: მარინე რაზმაძე-სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აზრი გამოთქვა გივი მეტრეველმა და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება შეიცვალოს მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი, მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი და მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი და საჩუქრის ფაქტის დადასტურება მოხდეს მხოლოდ მერის წარმომადგენლისა და ბენეფიციარის ხელმოწერით, რაზეც მ. რაზმაძემ განაცხადა, რომ შენიშვნა გათვალისწინებული იქნება და საკრებულოს სხდომისთვის განსახილველად შემოვა შესწორებული ვარიანტი.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ბაჩანა მარკოიშვილი-საკრებულოს თავმჯდომარე

,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: მაგდა მაისურაძე-ადმინისტრ. სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და საინფ. განყოფილების უფროსი/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ ქ. ონში რაჭის მუზეუმის ახალი შენობის სათანადო მოვლა-პატრონობისათვის საჭიროა, გამოიყოს სამი საშტატო ერთეული-ერთი ტექნიკური მუშაკი და ორი დარაჯი. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობას უნდა დაემატოს ერთი ტექნიკური მუშაკის და ორი დარაჯის პოზიცია.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე ყველა, წინააღმდეგი არცერთი

გადაწყდა: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

/მომხსენებელი: სონია გუგეშაშვილი-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას წარუდგინა ინფორმაცია ონის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

გადაწყდა: ინფორმაცია შეტანილი იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ბაჩანა მარკოიშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე